

სააქციო საზოგადოება „თელასი“

დამტკიცებულია
სს „თელასი“ სამეთვალყურეო საბჭოს
გადაწყვეტილებით

ოქმი №111 25.12.2013წ.

დებულება

სს „თელასის“ ინსაიდერული ინფორმაციის შესახებ

შინაარსი:

ძირითადი ცნებები, განსაზღვრებები და შემოკლებები, რომლებიც გამოყენებულია წინამდებარე დებულებაში	3
1. ზოგადი დებულებები.....	5
2. წინამდებარე დებულების მიზნები.....	5
3. ინსაიდერული ინფორმაცია	6
4. ინსაიდერთა სია	6
5. ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენების აკრძალვა	9
6. ინსაიდერული ინფორმაციის წვდომის წესი და ინსაიდერული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის წესები	10
7. ინსაიდერების მიერ განხორციელებული გარიგებები	11
8. ინსაიდერული ინფორმაციის შესახებ კანონმდებლობის დაცვის კონტროლი. ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის კონტროლის ქვედანაყოფი.	12
9. პასუხისმგებლობა	14
10. დასკვნითი დებულებები.....	14

**ძირითადი ცნებები, განსაზღვრებები და შემოკლებები, რომლებიც გამოყენებულია
წინამდებარე დებულებაში**

საზოგადოება	-	სააქციო საზოგადოება „თელასი“ (სს„თელასი“).
ინსაიდერული ინფორმაცია	-	არასაჯარო, არსებითი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ერთ ან რამდენიმე დაქვემდებარებულ საწარმოსთან ან მათ საჯარო ფასიან ქაღალდებს.
საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაციის ჩამონათვალი	-	საზოგადოების ბრძანებით დამტკიცებული იმ ინფორმაციის ამომწურავი ჩამონათვალი, რომელსაც საზოგადოება მიაკუთვნებს ინსაიდერულს.
ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევა	-	ინსაიდერული ინფორმაციის მიღება, შენახვა, კომბინირება, გავრცელება, მიწოდება, გახსნა ან ნებისმიერი სხვა გამოყენება, რომელიც მიმართულია მისი მესამე პირებისათვის გადაცემაზე.
ინფორმაციის გავრცელება	-	მოქმედებები: ა) რომლებიც მიმართულია ინფორმაციის მიღებაზე პირთა განუსაზღვრელი წრის მიერ ან ინფორმაციის გადაცემაზე პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, მათ შორის მისი გახსნის გზით ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; ბ) რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციის გამოქვეყნებასთან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, მათ შორის საერთო მოხმარების ელექტრონულ, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ქსელში („ინტერნეტის“ ქსელის ჩთვლით); გ) რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციის გავრცელებასთან საერთო მოხმარების ელექტრონული, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ქსელის საშუალებით („ინტერნეტის“ ქსელის ჩთვლით).
ინსაიდერი	-	პირი, რომლისთვისაც, დაქვემდებარებული საწარმოს მართვის ორგანოს წევრობის, ასეთი საწარმოს კაპიტალში მონაწილეობის (წილის) ან საქმიანობის, პროფესიული ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების საფუძველზე, ხელმისაწვდომია ინსაიდერული ინფორმაცია. ინსაიდერებად მიჩნეული არიან აგრეთვე სხვა პირები, რომლებმაც მიიღეს ინსაიდერული ინფორმაცია, როდესაც ნათელია, რომ ინფორმაციის წყარო არის ინსაიდერი.
საზოგადოების ინსაიდერების სია	-	საზოგადოების მიერ ფორმირებული დოკუმენტი. საზოგადოების ინსაიდერების სია შეიცავს პერსონალურ მონაცემებს და წარმოადგენს კონფიდენციალურ დოკუმენტს.
ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამოყენება	-	ინსაიდერს ან პირს, რომელმაც ინსაიდერისგან მიიღო შიდა ინფორმაცია, ეკრძალება: ა) თავის ინტერესებით ან მესამე პირების ინტერესებით, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით შეიძინოს ან გაყიდოს იმ დაქვემდებარებული საწარმოს ან

		<p>საწარმოების საჯარო ფასიანი ქაღალდები, რომელთა ინსაიდერულ ინფორმაციას ფლობს იგი;</p> <p>ბ) მიაწოდოს ინსაიდერული ინფორმაცია მესამე პირს, თუ ეს ქმედება არ არის განპირობებული მისი საქმიანობით, პროფესიული ან სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებით;</p> <p>გ) ინსაიდერულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ურჩიოს მესამე პირს ან მოიძიოს მესამე პირი ფასიანი ქაღალდების შესაძენად ან გასასხვისებლად.</p>
<p>ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის მაკონტროლებელი ქვედანაყოფი</p>	<p>-</p>	<p>საზოგადოების სტრუქტურული ქვედანაყოფი, ან თანამდებობის პირი, რომელსაც საზოგადოების გენერალური დირექტორის მიერ დაკისრებული აქვს მოვალეობა განახორციელოს კონტროლი საზოგადოების მიერ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის, 1998 წლის 24 დეკემბერი №1745-რს, მოთხოვნების დაცვაზე.</p> <p>ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის მაკონტროლებელი ქვედანაყოფი ანგარიშვალდებულია საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.</p>

1. ზოგადი დებულებები

1.1. ინსაიდერული ინფორმაციის შესახებ წინამდებარე დებულება (შემდგომ - „დებულება“) შემუშავებულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის, 1998 წლის 24 დეკემბერი №1745-რს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, საზოგადოების წესდების და საზოგადოების ლოკალური ნორმატიული აქტების შესაბამისად.

1.2. წინამდებარე დებულება არის საზოგადოების ლოკალური ნორმატიული აქტი.

1.3. წინამდებარე დებულება არეგულირებს:

- ინსაიდერული ინფორმაციის ჩამონათვალის ფორმირების წესს;
- საზოგადოების ინსაიდერების სიის ფორმირების და საზოგადოების ინსაიდერების სიის დაინტერესებული პირებისათვის წარდგენის წესს;
- საზოგადოების მიერ ინსაიდერების შეტყობინების წესებს, ასევე საზოგადოების ინსაიდერების მიერ შეტყობინების წესებს;
- ინსაიდერული ინფორმაციის წვდომის და დაინტერესებული პირებისათვის ინსაიდერული ინფორმაციის მიწოდების წესს;
- ინსაიდერული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის წესებს;
- ინსაიდერების მიერ საზოგადოების ფინანსურ ინსტრუმენტებთან და (ან) საქონელთან დაკავშირებული გარიგებების განხორციელების წესებს;
- ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის და დაცვის რეგულირების და ბაზრით მანიპულირების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დაცვის კონტროლის წესებს;
- ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის მაკონტროლებელი ქვედანაყოფის უფლებამოსილებას და მოვალეობებს;
- სხვა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევასა და დაცვასთან.

2. წინამდებარე დებულების მიზნები

2.1. წინამდებარე დებულების მიზნებია:

- საზოგადოების მიერ ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის და დაცვის რეგულირების და ბაზრით მანიპულირების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის შესრულება;
- საზოგადოების ფინანსურ ინსტრუმენტებსა და (ან) საქონელზე სამართლიანი ფასწარმოქმნის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ასევე რომლებიც ხელშეკრულებების დადებისასწარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომელთა ფასები დამოკიდებულია საზოგადოების ფასიან ქაღალდებზე და (ან) საქონელზე, ინვესტორების თანასწორობასა და ინვესტორების ნდობის გაძლიერებაზე, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამოყენების და ბაზრით მანიპულირების ფორმით, ორგანიზებულ ვაჭრობებზე ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების, გამოვლენის და აღკვეთისსამართლებრივი მექანიზმის რეალიზაციისათვის ხელშეწყობის გზით;
- იმ აქციონერთა და პირთა უფლებების და ქონებრივი ინტერესების დაცვა, რომლებიც ახორციელებენ გარიგებებს საზოგადოების ფინანსური ინსტრუმენტებით და (ან) საქონლით;
- საზოგადოების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ინსაიდერული ინფორმაციის წვდომის წესის, მისი კონფიდენციალობის დაცვის წესის და კანონმდებლობის, ასევე აღნიშნულის შესაბამისად მიღებული ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაცვის კონტროლის წესის განსაზღვრა;
- საზოგადოებაში ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევაზე კონტროლის დამყარება;

- საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შემავალი პირების ინფორმირება ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის და ბაზრით მანიპულირების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესახებ;
- საზოგადოების რეკუტაციის დაცვის უზრუნველყოფა და საზოგადოებისადმი ნდობის დონის ამაღლება აქციონერთა, პარტნიორთა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალი მონაწილეების მხრიდან.

3. ინსაიდერული ინფორმაცია

3.1. ინსაიდერულ ინფორმაციას განეკუთვნება:

- ინფორმაცია, რომლის ამომწურავ ჩამონათვალს ამტკიცებს ფინანსური ბაზრის სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი;
- ინფორმაცია, რომელიც ასეთად აღიარებულია (დამტკიცებულია ინსაიდერულის სახით) საზოგადოების ბრძანებით ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის კონტროლის ქვედანაყოფის წინადადებით, კანონმდებლობის საფუძველზე. ინსაიდერული ინფორმაციის ჩამონათვალი საჯარო დოკუმენტია და გახსნას ექვემდებარება ინტერნეტის ქსელში საზოგადოების ვებ-გვერდზე.

3.2. ცნობები, რომლებიც არ განეკუთვნება ინსაიდერულ ინფორმაციას:

- ცნობები, რომლებიც ხელმისაწვდომი გახდა პირთა შეუზღუდავი წრისათვის, მათ შორის, მათი გავრცელების შედეგად;
- საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე საზოგადოების ფინანსური ინსტრუმენტების და (ან) საქონლის მიმართ განხორციელებული კვლევები, პროგნოზები და შეფასებები, აგრეთვე რეკომენდაციები და (ან) წინადადებები ფინანსური ინსტრუმენტებით და (ან) საქონლით ოპერაციების განხორციელების შესახებ;
- ინსაიდერული ინფორმაცია მისი გამოქვეყნების შემდეგ.

3.3. ინსაიდერული ინფორმაციის გახსნის ან მიწოდების წესსა და ვადებს ადგენს კანონმდებლობა, აგრეთვე საზოგადოების მიერ კანონმდებლობის საფუძველზე შემუშავებული ლოკალური ნორმატიული აქტები.

3.4. იმ შემთხვევაში, თუ ინსაიდერული ინფორმაციის გახსნისა და მიწოდების შემდეგ, აღნიშნული ინფორმაციის შემადგენლობაში შემავალი ცნობები იცვლება, ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ გახსნილი ან მიწოდებული უნდა იყოს არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, მას შემდეგ, რაც საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა ან ცნობილი უნდა გამხდარიყო ასეთი ცვლილებების შესახებ.

4. ინსაიდერთა სია

4.1. საზოგადოებაში ინსაიდერების აღრიცხვის მიზნით, ორგანიზებული უნდა იყოს საზოგადოების ინსაიდერთა სიის წარმოება.

4.2. საზოგადოების ინსაიდერების სიის წარმოებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ქვედანაყოფია ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის კონტროლის ქვედანაყოფი.

4.3. საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შედიან:

- 1) პირები, რომელთათვისაც საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაცია ხელმისაწვდომია შესაბამის პირებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, მათ შორის აუდიტორები (აუდიტორული ორგანიზაციები), შემფასებლები (იურიდიული პირები, რომლებთანაც შემფასებლებმა დადეს შრომის ხელშეკრულებები), ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალი მონაწილეები, საკრედიტო ორგანიზაციები, სადაზღვევო ორგანიზაციები;
- 2) პირები, რომლებიც ფლობენ საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციას არა ნაკლებ 25 პროცენტს;

- 3) საზოგადოების რეგისტრატორი, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც საზოგადოების რეგისტრატორთან აქვთ შრომითი და (ან) სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობები და ამ ურთიერთობების ძალით მათთვის ხელმისაწვდომია საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაცია;
- 4) სამეთვალყურეო საბჭოს წევრები;
- 5) სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული კომიტეტების წევრები;
- 6) გენერალური დირექტორი;
- 7) სამმართველოთა და პდქ-ების ხელმძღვანელები;
- 8) სალიკვიდაციო კომისიის წევრები (ასეთის შექმნის შემთხვევაში);
- 9) პირები, რომელთათვისაც ხელმისაწვდომია ინფორმაცია ნებაყოფლობითი, სავალდებულო ან კონკურენტული წინადადების გაგზავნის შესახებ საზოგადოების აქციების შექმნასთან დაკავშირებით, სააქციო საზოგადოებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, რომლებმაც საზოგადოებას გაუგზავნეს ნებაყოფლობითი ან კონკურენტული წინადადებები, საკრედიტო ორგანიზაცია, რომელმაც უზრუნველყო საბანკო გარანტია, შემფასებელი (იურიდიული პირები, რომლებთანაც შემფასებელს დადებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები);
- 10) საინფორმაციო სააგენტოები, რომლებიც ახორციელებს საზოგადოების ინფორმაციის გახსნას ან მიწოდებას;
- 11) პირები, რომლებიც საზოგადოებას და საზოგადოების ფასიან ქაღალდებს ანიჭებენ რეიტინგებს;
- 12) ფიზიკური პირები, რომლებისთვისაც საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაცია ხელმისაწვდომია შრომითი და (ან) შესაბამის პირებთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებების საფუძველზე;
- 13) სხვა პირები, რომელთა შეყვანა საზოგადოების ინსაიდერთა სიაში სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად.

პირი საზოგადოების ინსაიდერთა სიიდან ამორიცხვას ექვემდებარება იმ დღის მომდევნო დღეს, როდესაც საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა მოცემულ პირთან ურთიერთობების შეწყვეტის თაობაზე, რომელთა ძალითაც მოცემული პირისათვის ხელმისაწვდომი იყო ინსაიდერული ინფორმაცია.

4.4. საზოგადოების ინსაიდერთა სია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას საზოგადოების შესახებ:

- 4.4.1. საზოგადოების სრული საფირმო სახელწოდება;
- 4.4.2. საზოგადოების შემოკლებული საფირმო სახელწოდება;
- 4.4.3. საზოგადოების გსნ (გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი);
- 4.4.4. საზოგადოების სრძნ (სახელმწიფო რეგისტრაციის ძირითადი ნომერი);
- 4.4.5. საზოგადოების ადგილმდებარეობა და საფოსტო მისამართი;
- 4.4.6. საზოგადოების საკონტაქტო ტელეფონი, ფაქსი და მისამართი.

4.5. საზოგადოების ინსაიდერთა სია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას ინსაიდერების - იურიდიული პირების შესახებ:

- 4.5.1. სრული საფირმო სახელწოდება;
- 4.5.2. გსნ;
- 4.5.3. სრძნ;
- 4.5.4. ადგილმდებარეობა და საფოსტო მისამართი;
- 4.5.5. საკონტაქტო ტელეფონი, ფაქსი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

4.6. საზოგადოების ინსაიდერთა სია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას ინსაიდერი - ფიზიკური პირების შესახებ:

- 4.6.1. გვარი, სახელი;
- 4.6.2. ცნობები პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის შესახებ (სერია, ნომერი);

- 4.6.3. ცნობები პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის თარიღის და დოკუმენტის გამცემი ორგანოს შესახებ (დასახელება, ქვედანაყოფის კოდი);
- 4.6.4. ცნობები ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის შესახებ;
- 4.6.5. ცნობები მისამართის შესახებ, სადაც ფიზიკური პირი იღებს ინფორმაციას (დოკუმენტებს);
- 4.6.6. ცნობები ფიზიკური პირის დაბადების თარიღისა და ადგილის შესახებ.

4.7. საზოგადოების ინსაიდერთა სია შეიცავს ცნობებს საზოგადოების ინსაიდერთა სიაში პირის შეყვანის თარიღისა და საფუძველის შესახებ, აგრეთვე ცნობები პირის საზოგადოების ინსაიდერთა სიიდან ამორიცხვის თარიღისა და საფუძველის შესახებ (პირის საზოგადოების ინსაიდერთა სიიდან ამორიცხვის დროს).

4.8. იმ ცნობების კონკრეტული ჩამონათვალი, რომელთა შეტანა სავალდებულოა საზოგადოების ინსაიდერთა სიაში, განისაზღვრება ფინანსური ბაზრების სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოს მიერ.

4.9. ცნობები იმ პირთა შესახებ, რომლებიც შეყვანილი არიან საზოგადოების ინსაიდერთა სიაში და მითითებული არიან წინამდებარე დებულების მე-4.5 და მე-4.6 პუნქტებში, ცვლილებას ექვემდებარება 1 სამუშაო დღის განმავლობაში იმ თარიღიდან, როდესაც ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის კონტროლის ქვედანაყოფს ოფიციალურად ეცნობა შესაბამისი ცვლილებების დადგომის შესახებ პირის მიერ, რომლის ცნობების შეიცვალა.

4.10. ფიზიკური პირი, რომელიც ექვემდებარება საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შეყვანას, საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შედიან საზოგადოების მიერ ასეთი პირისაგან წინამდებარე დებულების მე-4.6 პუნქტით გათვალისწინებული პერსონალური მონაცემების მიღების შემდეგ.

4.11. საზოგადოება ვალდებულია პირს შეატყობინოს მისი შეყვანის შესახებ საზოგადოების ინსაიდერთა სიაში ან პირის საზოგადოების ინსაიდერთა სიიდან ამორიცხვის შესახებ (პირის საზოგადოების ინსაიდერთა სიიდან ამორიცხვის შემთხვევაში).

4.12. შეტყობინებას პირის საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შეყვანის შესახებ საზოგადოება გადასცემს უშუალოდ პირს, რომელიც შეყვანილ იქნა საზოგადოების ინსაიდერთა სიაში, ან აგზავნის აღნიშნული პირის მისთვის ცნობილ მისამართზე ისეთი საშუალებით, რომელიც ასეთი პირის მიერ მოცემული შეტყობინების მიღების დადასტურების საშუალებას იძლევა საზოგადოების ინსაიდერთა სიაში მოცემული პირის შეყვანის თარიღიდან არა უგვიანეს 1 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.13. შეტყობინებას პირის საზოგადოების ინსაიდერთა სიიდან ამორიცხვის შესახებ საზოგადოება გადასცემს უშუალოდ პირს, რომელიც ამორიცხულ იქნა საზოგადოების ინსაიდერთა სიაში, ან აგზავნის აღნიშნული პირის მისთვის ცნობილ მისამართზე ისეთი საშუალებით, რომელიც ასეთი პირის მიერ მოცემული შეტყობინების მიღების დადასტურების საშუალებას იძლევა საზოგადოების ინსაიდერთა სიიდან მოცემული პირის ამორიცხვის თარიღიდან არა უგვიანეს 1 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.14. წინამდებარე დებულების პუნქტებში 4.11 და 4.12 აღნიშნული შეტყობინებების ფორმატები მოცემულია წინამდებარე დებულების დანართებში №1 და №2, შესაბამისად. პუნქტებში 4.11 და 4.12 მითითებული შეტყობინებების ხელმოწერის უფლება აქვს გენერალურ დირექტორს და საზოგადოების გენერალური დირექტორის მიერ განსაზღვრულ სხვა პირებს. საზოგადოება უფლებამოსილია გამოიყენოს შეტყობინებათა სხვა ფორმატები, რომლებიც შეესაბამება ფინანსური ბაზრების სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოს ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.

4.15. საზოგადოება ახორციელებს საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შეყვანილ პირთა ინფორმირებას საზოგადოების შესახებ წინამდებარე დებულების პუნქტში 4.5 მითითებულ ცნობებში შესულ ცვლილებებზე, აგრეთვე საზოგადოების შესახებ ინფორმაციის ჩამონათვალის ცვლილების შემთხვევაში, რომლის შეტანა სავალდებულოა ფინანსური ბაზრების სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს სამართლებრივი აქტებით დადგენილ საზოგადოების ინსაიდერთა სიაში, 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში

ცვლილების თარიღიდან ან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში თარიღიდან, როდესაც საზოგადოებამ გაიგო ან უნდა გაეგო მომხდარი ცვლილებების შესახებ.

4.16. საზოგადოება ახორციელებს ყველა შეტყობინების აღრიცხვას, რომელიც გაგზავნილია წინამდებარე დებულების შესაბამისად.

4.17. თუ საზოგადოების შეტყობინება, რომელიც მან გააგზავნა საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შეყვანილი პირის მისთვის ცნობილი მისამართზე, არ მიუღია აღნიშნულ პირს საზოგადოებისაგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო, საზოგადოება ასეთი ფაქტის შესახებ უგზავნის ფინანსური ბაზრების სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში იმ თარიღიდან, როდესაც საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა შესაბამისი ფაქტის შესახებ.

4.18. საზოგადოების ინსაიდერთა სიას და სხვა საჭირო დოკუმენტებს საზოგადოება უგზავნის ვაჭრობის ორგანიზატორებს, რომელთა მეშვეობით ხორციელდება საზოგადოების ფინანსურ ინსტრუმენტებთან ან სხვა საქონელთან დაკავშირებული ოპერაციები, ინსაიდერთა სიების წარდგენის შესაბამისი ვაჭრობის ორგანიზატორების მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად.

4.19. საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შეტანილ ცვლილებებს, აგრეთვე საზოგადოების ინსაიდერთა სიის ახალი რედაქციას საზოგადოება უგზავნის ვაჭრობის ორგანიზატორებს, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება საზოგადოების აქციებთან ან საქონელთან დაკავშირებული ოპერაციები, იმ დღის მომდევნო სამუშაო დღის არა უგვიანეს 18:00 საათისა მოსკოვის დროით, როდესაც საზოგადოების მიერ შედგენილ იქნა საზოგადოების ინსაიდერთა სია (ცვლილებების იქნა შეტანილი საზოგადოების ინსაიდერთა სიაში).

5. ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენების აკრძალვა

5.1. აკრძალულია ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენება საზოგადოების ფინანსური ინსტრუმენტებით და (ან) საქონლით ოპერაციების განხორციელებისათვის, საკუთარ ხარჯზე ან მესამე პირის ხარჯზე, იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც პირდაპირ არის დათქმული საქართველოს კანონმდებლობით.

5.2. აკრძალულია ინსაიდერული ინფორმაციის გადაცემა მესამე პირებისათვის, საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შეყვანილი პირების გარდა და მხოლოდ კანონმდებლობით ან საზოგადოების შიდა დოკუმენტებით დადგენილი მოვალეობების შესრულების დროს ან შრომითი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

5.3. აკრძალულია ინსაიდერული ინფორმაციის საფუძველზე მესამე პირისათვის რეკომენდაციების მიცემა, საზოგადოების ფინანსური ინსტრუმენტების და (ან) საქონლის შესაძენის დავალდებულება ან წაქეზება, იმ ხელშეკრულებების ჩათლით, რომლებიც წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს წარმოადგენს და რომელთა ფასი დამოკიდებულია საზოგადოების ასეთ ფასიან ქაღალდებზე და (ან) საქონელზე.

5.4. აკრძალულია ისეთი მოქმედებების განხორციელება, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიეკუთვნება ბაზრით მანიპულირებას.

5.5. არ არის აკრძალული ინსაიდერული ინფორმაციის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რედაქციისათვის, მისი მთავარი რედაქტორისათვის, ჟურნალისტისათვის და მისი სხვა თანამშრომლისათვის გადაცემა გამოქვეყნების მიზნით. ინსაიდერული ინფორმაციის გამოქვეყნება მასობრივი ინფორმაციის საშუალებაში არ წარმოადგენს წინამდებარე დებულებით დადგენილი აკრძალვის დარღვევას. ამასთან, ასეთი ინფორმაციის გადაცემა გამოქვეყნების მიზნით ან მისი გამოქვეყნება არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან იმ ცნობების უკანონო მიღებაზე, გამოყენებაზე, გათქმაზე, რომლებიც შეადგენს სახელმწიფო, საგადასახადო, კომერციულ, სამსახურებრივ, საბანკო საიდუმლოს, კავშირგაბმულობის (ფულადი სახსრების საფოსტო გადაგზავნის ნაწილში) საიდუმლოს ან კანონით დაცულ სხვა საიდუმლოს, აგრეთვე პასუხისმგებლობისაგან ინსაიდერული ინფორმაციის გახსნის ან მიწოდების მოვალეობაზე.

6. ინსაიდერული ინფორმაციის წვდომის წესი და ინსაიდერული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის წესები

6.1. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, სარევიზიო კომისიის წევრებს, გენერალურ დირექტორს, სამმართველოების/პდქ-ების ხელმძღვანელებს აქვთ ინსაიდერული ინფორმაციის წვდომის უფლება.

6.2. ინსაიდერები, რომლებიც არ არიან მითითებული წინამდებარე დებულების პუნქტში 6.1, აქვთ იმ ინსაიდერული ინფორმაციის წვდომის უფლება, რომელიც აუცილებელია კანონმდებლობით, სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტებით, საზოგადოების შიდა დოკუმენტებით, შრომის ან საზოგადოებასთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებებით პირდაპირ გათვალისწინებული მოვალეობების შესასრულებლად.

6.3. პირებმა, რომელთაც აქვთ ინსაიდერული ინფორმაციის წვდომა, ვალდებული არიან დაიცვან წინამდებარე დებულების მე-5 პუნქტით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული აკრძალვები.

6.4. ნებისმიერი პირი, რომელსაც არა აქვს საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაციის წვდომის უფლება, მაგრამ მიიღო აღნიშნული ინფორმაცია, ვალდებულია დაიცვას წინამდებარე დებულების მე-5 პუნქტით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული აკრძალვები.

6.5. იმ იურიდიულ პირებთან ხელშეკრულებების დადებისას, რომლებიც აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე იღებენ საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაციის წვდომის უფლებას, აღნიშნულ ხელშეკრულებებში სავალდებულო წესით შეტანილი უნდა იყოს დებულებები აღნიშნულ პირთა ვალდებულების შესახებ დაიცვან წინამდებარე დებულების, ინსაიდერული ინფორმაციის და ბაზრებით მანიპულირების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები.

6.6. იმ ფიზიკურ პირებთან შრომის ხელშეკრულებების და სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებების დადებისას, რომლებიც ამ ხელშეკრულებების საფუძველზე იღებენ საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაციის წვდომის უფლებას, აღნიშნულ ხელშეკრულებებში სავალდებულო წესით შეტანილი უნდა იყოს დებულებები აღნიშნულ პირთა ვალდებულების შესახებ დაიცვან წინამდებარე დებულების, ინსაიდერული ინფორმაციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის.

6.7. წინამდებარე დებულების მე-2.1 პუნქტში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, საზოგადოებას შეუძლია განახორციელოს ყველა აუცილებელი მოქმედება, რომელიც მართულია ინსაიდერული ინფორმაციის დაცვაზე არამართლზომიერ გამოყენებისა გან, მათ შორის:

- მიანიჭოს (ჩამოართვას და შეზღუდოს) საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაციის წვდომის უფლება საზოგადოების მუშაკებს, თანამდებობის პირებს, აგრეთვე სხვა პირებს, რომლებსაც სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების საფუძველზე აქვთ ინსაიდერული ინფორმაციის წვდომა;
- განსაზღვროს ინსაიდერული ინფორმაციის შესანახი სათავსოები (ადგილები), სადაც დადგენილი იქნება შესვლის სპეციალური რეჟიმი, განახორციელოს ასეთ სათავსოებში (ადგილებში) შემსვლელ და გამომსვლელ პირთა ფოტო და ვიდეო დაფიქსირება;
- შეზღუდოს პირთა წვდომის უფლება საზოგადოების სათავსოებში, სადაც ინახება დოკუმენტები, რომლებიც განეკუთვნება ინსაიდერულ ინფორმაციას;
- განსაზღვროს ინსაიდერული ინფორმაციის მატარებლები და დაადგინოს ასეთი მატარებლების ბრუნვის განსაკუთრებული წესები;
- გამოიყენოს პროგრამული და აპარატული უზრუნველყოფის საშუალებები, რომლებიც აღკვეთს ინსაიდერული ინფორმაციის არასანქცინირებულ წვდომას

და ზღუდავს ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევას კავშირგაბმულობის არხებით (ელექტრონული ფოსტის და ინტერნეტის ჩათვლით);

- განახორციელოს საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის აღრიცხვის ჟურნალის ფორმირება და წარმოება, დააფიქსიროს პირთა ინსაიდერულ ინფორმაციასთან დაშვების ფაქტები;
- გაანადგუროს იმ ინსაიდერული ინფორმაციის მატარებლები, რომლებიც არ ექვემდებარება გახსნას, საზოგადოებაში შენახვას.

6.8. საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია მოტივირებული მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილი პირი.

7. ინსაიდერების მიერ განხორციელებული გარიგებები

7.1. საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შეყვანილმა პირებმა, აგრეთვე სხვა პირებმა, რომლებიც ფლობენ საზოგადოების ინსაიდერულ ინფორმაციას, საზოგადოებას უნდა წარუდგინონ შეტყობინება საზოგადოების ფასიანი ქაღალდებით და (ან) საქონლით განხორციელებული ოპერაციების შესახებ და (ან) ხელშეკრულებების დადების შესახებ, რომლებიც წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებია, რომელთა ფასი დამოკიდებულია საზოგადოების ფასიანი ქაღალდების და (ან) საქონლის ფასზე, მათ მიერ საზოგადოების და (ან) საქონლით შესაბამისი ოპერაციის განხორციელების თარიღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით არ არის დადგენილი უფრო მოკლე ვადა. ასეთი შეტყობინების ფორმატი მოცემულია წინამდებარე დებულების დანართში 3.

7.2. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, გენერალური დირექტორი (მმართველი ორგანიზაცია და მისი თანამდებობის პირები, საზოგადოების ერთპიროვნული ორგანოს მოვალეობის შემსრულებელი), სამმართველოების/პაქ-ების ხელმძღვანელები ვალდებული არიან საზოგადოების წინაშე გახსნან ინფორმაცია საზოგადოების ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ.

7.3. წინამდებარე დებულების მე-7.1 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინებები საზოგადოებას უნდა გაეგზავნოს შეტყობინების მიღების დადასტურებით, კერძოდ, საზოგადოებისათვის საფოსტო გზავნილის გაგზავნით გადაცემის შესახებ შეტყობინებით, ელექტრონული ციფრული ხელმოწერის მქონე ელექტრონული დოკუმენტის საშუალებით.

7.4. საზოგადოების წინამდებარე დებულების მე-7.1 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინებები, საზოგადოებას უნდა გაეგზავნოს შემდეგი საშუალებებიდან ერთ-ერთის გამოყენებით:

- 1) საზოგადოების ექსპედიციაში წარდგენით;
- 2) საფოსტო გზავნილით მიღების შესახებ შეტყობინების საფუძველზე;
- 3) ელექტრონული ციფრული ხელმოწერით ხელმოწერილი ელექტრონული დოკუმენტის გაგზავნით საზოგადოების ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე.

7.5. საზოგადოების წინამდებარე დებულების მე-7.1 პუნქტში მითითებული შეტყობინებები, რომლებიც მოიცავს ერთ ფურცელზე მეტს, უნდა იყოს დანომრილი აკინძული, ხელმოწერით ყველა გვერდზე ან აკინძვის ადგილზე. მე-7.1 პუნქტში მითითებული შეტყობინებების აკინძვის ადგილზე, რომლებსაც საზოგადოებას უგზავნის იურიდიული პირი, სავალდებულოა უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და იურიდიული პირის ბეჭედი.

7.6. ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის კონტროლის ქვედანაყოფი ახორციელებს ინსაიდერული ინფორმაციის შესაძლო გამოყენების ანალიზს წინამდებარე დებულების მე-7.1 პუნქტში გათვალისწინებულ შეტყობინებებში დეკლარირებული გარიგებების დადებისას, აგრეთვე ახორციელებს ინსაიდერთა იმ გარიგებების გამოვლენას, რომლებიც არ არის შეტანილი შეტყობინებაში.

7.7. ინსაიდერი ფიზიკური პირების მიერ საზოგადოებისათვის გაგზავნილი შეტყობინებები შეიცავს ასეთი ფიზიკური პირების პერსონალურ მონაცემებს და აქვს კონფიდენციალური ხასიათი.

8. ინსაიდერული ინფორმაციის შესახებ კანონმდებლობის დაცვის კონტროლი. ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის კონტროლის ქვედანაყოფი.

8.1. ინსაიდერები ვალდებული არიან დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით, კანონქვემდებარე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით, წინამდებარე დებულებით და საზოგადოების სხვა ლოკალური ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნები:

- საზოგადოების ფინანსური ინსტრუმენტები და (ან) საქონლით გარიგების განხორციელების დროს;
- ინსაიდერების მიერ საზოგადოების ფასიან ქაღალდებთან და (ან) საქონელთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციების და იმ ხელშეკრულებების დადების შესახებ, რომლებიც საზოგადოების ფასიანი ქაღალდების და (ან) საქონელზე დამოკიდებული ფასის მქონე წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებია, შეტყობინებების გაგზავნის წესისა და ვადების მიმართ;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი სხვა აკრძალვები და მოთხოვნები.

8.2. ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის კონტროლის ქვედანაყოფი ახორციელებს საზოგადოების მიერ ინსაიდერული ინფორმაციის დაცვისა და მიმოქცევის, ბაზრით მანიპულირების სფეროში კანონმდებლობის და კანონქვემდებარე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების, აგრეთვე მათ საფუძველზე შემუშავებული და დამტკიცებული საზოგადოების ლოკალური ნორმატიული აქტების და წინამდებარე დებულების მოთხოვნების დაცვის კონტროლს.

8.3. ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის კონტროლის ქვედანაყოფის პირად შემადგენლობას განსაზღვრავს საზოგადოების გენერალური დირექტორი.

8.4. ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის კონტროლის ქვედანაყოფის მუშაკები წარმოადგენენ ინსაიდერებს და შეყვანილი არიან საზოგადოების ინსაიდერთა სიაში.

8.5. ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის კონტროლის ქვედანაყოფი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- აკონტროლებს საზოგადოების მიერ ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის და ბაზრით მანიპულირების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ნორმების დაცვას;
- ახორციელებს საზოგადოების ლოკალური ნორმატიული აქტების შემუშავებას და წარადგენს უფლებამოსილი ორგანოების მიერ დასამტკიცებლად, საზოგადოების მიერ ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის და ბაზრით მანიპულირების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ნორმების დაცვის მიზნით;
- ახორციელებს საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაციის ჩამონათვალის შემუშავებას და წარდგენას გენერალური დირექტორის მიერ დასამტკიცებლად;
- ახორციელებს საზოგადოების ინსაიდერთა სიის ფორმირებას, აგრეთვე უზრუნველყოფს საზოგადოების ინსაიდერთა სიაში ცვლილებების შეტანას;
- ატყობინებს ინსაიდერებს მათი შეყვანის შესახებ საზოგადოების ინსაიდერთა სიაში;
- ატყობინებს ფიზიკურ და (ან) იურიდიულ პირებს მათი ამორიცხვის შესახებ საზოგადოების ინსაიდერთა სიიდან;
- საზოგადოების რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში, საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შეყვანილ პირებს ატყობინებს აღნიშნული ცვლილებების შესახებ;

- უზრუნველყოფს საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შეყვანილ პირთათვის საზოგადოების მიერ გაგზავნილი შეტყობინებების შენახვას;
- უზრუნველყოფს საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შეყვანილ ფიზიკურ პირთაგან პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ მიღებული თანხმობების შენახვას;
- საზოგადოების ინსაიდერთა სიას, აგრეთვე საზოგადოების ინსაიდერთა სიის ყველა საჭირო დანართს უზრუნველყოფს ვაჭრობის ორგანიზატორებს, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება საზოგადოების ფინანსურ ინსტრუმენტებთან ან საქონელთან დაკავშირებული ოპერაციები;
- საზოგადოების ინსაიდერთა სიას უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მის მიღებაზე უფლებამოსილ სხვა პირებს (უფლებამოსილ პირთა მიერ ხელმოწერილი, დასაბუთებული და მოტივირებული მოთხოვნის შემთხვევაში);
- ახდენს საზოგადოების ფინანსურ ქაღალდებთან და (ან) საქონელთან დაკავშირებით ინსაიდერების მიერ განხორციელებული ოპერაციების შესახებ მათგან მიღებული შეტყობინებების ანალიზს და ამოწმებს მათ ნამდვილობას;
- ახორციელებს შრომით და სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებებს ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის და ბაზრით მანიპულირების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე დებულების და აღნიშნული დებულების შესაბამისად მიღებული საზოგადოების ლოკალური ნორმატიული აქტების მოთხოვნების თვალსაზრისით;
- ახორციელებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული აუდიტის კომიტეტისათვის საზოგადოების მიერ ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის და ბაზრით მანიპულირების სფეროში საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე დებულების მოთხოვნების დაცვის შესახებ ანგარიშის ფორმირებას გაგზავნას. ასეთი ანგარიშის შემადგენლობაში, ასევე შედის ცნობები საზოგადოების ფინანსური ქაღალდებით და (ან) საქონლით ინსაიდერების მიერ განხორციელებული გარიგებების შესახებ;
- საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს უზრუნველყოფს, სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული აუდიტის კომიტეტის მიერ წინასწარ განხილულ ანგარიშს საზოგადოების მიერ ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის და ბაზრით მანიპულირების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე დებულების მოთხოვნების შესრულების შესახებ;
- ახორციელებს ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის და ბაზრით მანიპულირების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე დებულების და აღნიშნული დებულების შესაბამისად მიღებული საზოგადოების ლოკალური ნორმატიული აქტების შესაბამისად მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

8.6. საკუთარი ფუნქციების განხორციელების პროცესში ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის კონტროლის ქვედანაყოფის მუშაკები უფლებამოსილი არიან:

- მიიღონ და შეინახონ საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაცია;
- იმყოფებოდნენ საზოგადოების სათავსოებში, სადაც განთავსებულია საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაციისათვის მიკუთვნილებული დოკუმენტები;
- საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შეყვანილი პირებისაგან მოითხოვონ და მიიღონ ინფორმაცია და (ან) დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის და ბაზრით მანიპულირების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე დებულების და აღნიშნული დებულების შესაბამისად მიღებული საზოგადოების ლოკალური ნორმატიული აქტების შესრულებასთან (შეუსრულებლობასთან);

- განახორციელონ სხვა აუცილებელი ღონისძიებები საზოგადოების მიერ ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის და ბაზრით მანიპულირების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

8.7. ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის კონტროლის ქვედანაყოფი ანგარიშვალდებულია საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

8.8. ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის კონტროლის ქვედანაყოფი საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული აუდიტის კომიტეტის მიერ ცნობად მიღებულ ანგარიშს საზოგადოების მიერ ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის და ბაზრით მანიპულირების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის და წინამდებარე დებულების მოთხოვნების შესრულების შესახებ.

9. პასუხისმგებლობა

9.1. საზოგადოების ინსაიდერები, რომლებიც ამავდროულად საზოგადოების მუშაკები არიან, პასუხისმგებელი არიან ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამოყენებაზე და შეიძლება მიცემული იქნან დისციპლინარულ, ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის ან სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობაში, საქართველოს კანონმდებლობის და საზოგადოებასთან დადებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად.

9.2. საზოგადოების ინსაიდერები, რომლებიც არ არიან საზოგადოების მუშაკები, პასუხისმგებელი არიან ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამოყენებაზე და შეიძლება მიცემული იქნენ ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის ან სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობაში საქართველოს კანონმდებლობის და საზოგადოებასთან დადებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად.

9.3. პასუხისმგებლობაში შეიძლება იქნენ მიცემული სხვა პირებიც, რომლებიც არ შედიან საზოგადოების ინსაიდერთა სიაში, მაგრამ ავრცელებენ ინსაიდერულ ინფორმაციას ან ახორციელებენ ოპერაციებს საზოგადოების ფინანსური ინსტრუმენტებით და (ან) საქონლით ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა.

9.4. პირებმა, რომლებმაც დაუშვეს ინსაიდერული ინფორმაციის არასანქცირირებული გავრცელება, გარიგებები ან სხვა არამართლზომიერი გამოყენება, პასუხისმგებელი არიან თავის ბრალეულ ქმედებებზე, უმოქმედობაზე.

საზოგადოებას და (ან) პირებს, რომლებისთვისაც ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამოყენების შედეგად ზარალი იქნა მიყენებული, შეუძლიათ ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამოყენებასა და/ან გავრცელებაში ბრალეულ პირებს მოსთხოვონ ზარალის ანაზღაურება.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. თუ წინამდებარე დებულების ცალკეული პუნქტები ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან საზოგადოების წესდებას, აღნიშნული პუნქტები ძალადაკარგულად უნდა იქნეს მიჩნეული. წინამდებარე დებულების ცალკეული პუნქტების ბათილობა არ იწვევს დებულების სხვა პუნქტების ან მთლიანად დებულების ბათილობას.

10.2. წინამდებარე დებულების ნებისმიერ ცვლილება/დამატება დამტკიცებულ უნდა იქნეს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

10.3. წინამდებარე დებულება, თავის დანართებთან ერთად, უნდა განთავსდეს საზოგადოების ოფიციალურ გვერდზე ინტერნეტის ქსელში შემდეგ მისამართზე: <http://www.telasi.ge/>.

“ ” 201 წ.

№

შეტყობინება
პირის ინსაიდერთა სიაში შეყვანის (ინსაიდერთა სიიდან ამორიცხვის) შესახებ
სს „თელასი“

№	I. ცნობები ორგანიზაციის შესახებ	
1.1	ორგანიზაციის სრული საფირმო სახელწოდება	სააქციო საზოგადოება „თელასი“
1.2	გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი	
1.3	სახელმწიფო რეგისტრაციის ძირითადი ნომერი	
1.4	ორგანიზაციის ადგილმდებარეობა	საქართველო, 0154, თბილისი, ვანის ქ. 3
1.5	სხვა მისამართი ორგანიზაციის მიერ საფოსტო კორესპონდენციის მისაღებად	
1.6	ორგანიზაციის ტელეფონის ნომერი	+995 (32) 277-98-12
1.7	ორგანიზაციის ფაქსის ნომერი	+995 (32) 277-99-81
1.8	ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტის მისამართი	telasi@telasi.ge

№	II. ცნობები საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შეყვანილი (ამორიცხული) პირის შესახებ	
	ინსაიდერი – ფიზიკური პირისათვის	
2.1	ინსაიდერის გვარი, სახელი	
2.2	ინსაიდერის დაბადების თარიღი	
2.3	ინსაიდერის დაბადების ადგილი	

№	III. ცნობები შეტყობინების გაგზავნის საფუძველის შესახებ	
3.1	შეტყობინების გაგზავნის საფუძველი (მითითებული უნდა იყოს: „ინსაიდერ-	

	თა სიაში შეყვანა“ ან „ინსაიდერთა სიიდან ამორიცხვა“)	
3.2	ინსაიდერთა სიაში შეყვანის (ამორიცხვის) თარიღი	
3.3	ინსაიდერთა სიაში პირის შეყვანის (ინსაიდერთა სიიდან ამორიცხვის) საფუძველი	

მიაქციეთ ყურადღება, რომ სს „თელასის“ ინსაიდერთა სიაში თქვენი შეყვანის მომენტიდან, თქვენი, როგორც ინსაიდერის მიმართ შემოღებული იქნება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები, აგრეთვე მოვალეობები სს „თელასის“ ინსაიდერული ინფორმაციის შესახებ დებულების მოთხოვნები.

დეტალური ინფორმაცია წინამდებარე შეტყობინების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ სს „თელასის“ ოფიციალურ საიტზე შემდეგ მისამართზე: <http://www.telasi.ge/>, ასევე ტელეფონით

(უფლებამოსილი პირის თანამდებობის დასახელება)

(ხელმოწერა)

(ინიციალები, გვარი)

“ ” 201 წ.

№

შეტყობინება
პირის ინსაიდერთა სიაში შეყვანის (ინსაიდერთა სიიდან ამორიცხვის) შესახებ
სს „თელასი“

№	I. ცნობები ორგანიზაციის შესახებ	
1.1	ორგანიზაციის სრული საფირმო სახელწოდება	სააქციო საზოგადოება „თელასი“
1.2	ორგანიზაციის გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი	
1.3	ორგანიზაციის სახელმწიფო რეგისტრაციის ძირითადი ნომერი	
1.4	ორგანიზაციის ადგილმდებარეობა	საქართველო, 0154, თბილისი, ვანის ქ. 3
1.5	სხვა მისამართი ორგანიზაციის მიერ საფოსტო კორესპონდენციის მისაღებად	
1.6	ორგანიზაციის ტელეფონის ნომერი	+995 (32) 277-98-12
1.7	ორგანიზაციის ფაქსის ნომერი	+995 (32) 277-99-81
1.8	ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტის მისამართი	telasi@telasi.ge

№	II. ცნობები საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შეყვანილი (ამორიცხული) პირის შესახებ	
	ინსაიდერი – იურიდიული პირისათვის	
2.1	ინსაიდერის სრული საფირმო სახელწოდება	
2.2	ინსაიდერის გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი	

2.3	ინსაიდერთა სახელმწიფო რეგისტრაციის ძირითადი ნომერი	
-----	--	--

№	III. ცნობები შეტყობინების გაგზავნის საფუძველის შესახებ	
3.1	შეტყობინების გაგზავნის საფუძველი (მითითებული უნდა იყოს: „ინსაიდერთა სიაში შეყვანა“ ან „ინსაიდერთა სიიდან ამორიცხვა“)	
3.2	ინსაიდერთა სიაში შეყვანის (ამორიცხვის) თარიღი	
3.3	ინსაიდერთა სიაში პირის შეყვანის (ინსაიდერთა სიიდან ამორიცხვის) საფუძველი	

მიაქციეთ ყურადღება, რომ სს „თელასის“ ინსაიდერთა სიაში თქვენი შეყვანის მომენტიდან, თქვენი, როგორც ინსაიდერის მიმართ შემოღებული იქნება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები, აგრეთვე მოვალეობები სს „თელასის“ ინსაიდერული ინფორმაციის შესახებ დებულების მოთხოვნები.

დეტალური ინფორმაცია წინამდებარე შეტყობინების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ სს „თელასის“ ოფიციალურ საიტზე შემდეგ მისამართზე: <http://www.telasi.ge/>, ასევე ტელეფონით

(უფლებამოსილი პირის თანამდებობის დასახელება)

(ხელმოწერა)

(ინიციალები, გვარი)

შეტყობინება
ინსაიდერის მიერ სს „თელასის“ ფასიანი ქაღალდებით და/ან საქონლით
ოპერაციების განხორციელების შესახებ

1. ინსაიდერის გ.ს.მ. – ფიზიკური პირის / ინსაიდერის სრული საფირმო სახელწოდება – იურიდიული პირის შემთხვევაში	
2. ინსაიდერი - ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახეობა და რეკვიზიტები /ინსაიდერი - იურიდიული პირის გსნ, სრმნ	
3. ინსაიდერი - ფიზიკური პირის რეგისტრაციის ადგილი / ინსაიდერი - იურიდიული პირის ადგილმდებარეობა	
4. იმ პირის სრული საფირმო სახელწოდება, რომლის ინსაიდერთა სიაში არის შეყვანილი ინსაიდერი	სააქციო საზოგადოება „თელასი“
5. ოპერაციის განხორციელების თარიღი	
6. გარიგების (ოპერაციის) სახეობა	
7. გარიგების (ოპერაციის) თანხის ოდენობა	
8. გარიგების დადების ადგილი (ვაჭრობის ორგანიზატორის დასახელება ან ბირჟის გარე ბაზარი)	
9. ფასიანი ქაღალდის სახეობა, კატეგორია (ტიპი), სერია (მითითებულ უნდა იქნეს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული გარიგების შემთხვევაში)	
10. ფასიანი ქაღალდების ემიტენტის სრული საფირმო სახელწოდება (მითითებულ უნდა იქნეს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული გარიგების შემთხვევაში)	
11. ფასიანი ქაღალდების გამოშვების სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი (მითითებულ უნდა იქნეს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული გარიგების შემთხვევაში)	
12. ერთი ფასიანი ქაღალდის ფასი (მითითებულ უნდა იქნეს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ყველა გარიგების შემთხვევაში, რეპო გარიგების გარდა)	

<p>13. ერთი ფასიანი ქაღალდის ნასყიდობის ფასი რეპო ხელშეკრულების შესაბამისად (რეპო ხელშეკრულებისათვის)</p>	
<p>14. ფასიანი ქაღალდების რაოდენობა (მითითებულ უნდა იქნეს ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული გარიგების შემთხვევაში)</p>	
<p>15. იმ ხელშეკრულების სახეობა, რომელიც წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს (მითითებულ უნდა იქნეს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული გარიგებების შემთხვევაში)</p>	
<p>16. ხელშეკრულების ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ვაჭრობის ორგანიზატორისთვის მისაღები დასახელება (აღნიშვნა), რომელიც წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს (მითითებულ უნდა იქნეს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული გარიგებების შემთხვევაში)</p>	
<p>17. იმ ერთი ხელშეკრულების ფასი, რომელიც წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს (პრემიის ოდენობა ოპციონის შესაბამისად)(მითითებულ უნდა იქნეს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული გარიგებების შემთხვევაში)</p>	
<p>18. იმ ხელშეკრულებათა რაოდენობა, რომლებიც წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს (მითითებულ უნდა იქნეს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული გარიგებების შემთხვევაში)</p>	
<p>19. იმ ხელშეკრულების შესრულების ფასი, რომელიც წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს (მითითებულ უნდა იქნეს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული გარიგებების შემთხვევაში)</p>	
<p>20. ვალუტის სახეობა (მითითებულ უნდა იქნეს ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების შემთხვევაში)</p>	
<p>21. საქონლის სახეობა (მითითებულ უნდა იქნეს საქონელთან დაკავშირებული ოპერაციების შემთხვევაში)</p>	

22. საქონლის რაოდენობა (მითითებულ უნდა იქნეს საქონელთან დაკავშირებული ოპერაციების შემთხვევაში)	
23. საქონლის ერთეულის ფასი (მითითებულ უნდა იქნეს საქონელთან დაკავშირებული ოპერაციის შემთხვევაში)	

(თარიღი)

(ხელმოწერა)^{*}

(ხელმოწერის გამიფრვა)^{*}

^{*}შევსებულ უნდა იქნეს შეტყობინების ქაღალდის მატარებელზე გაგზავნის შემთხვევაში